View metadata, citation and similar papers at core.ac.uk brought to you by CORE

მემკვიდრეობა

1950-იანი წლების დასაწყისშიევროპის ქვეყნების გამაერთიანებელი მოძრაობის დაწყებას სიხარულით შეხვდნენ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში და მას საქართველოს მომავალი დაუკავშირეს. 1952 წლის ნოემბერში ჟურნალმა „ბედი ქართლისა:“ გამოაქვეყნა კალისტრატე სალიას (1901-1986) წერილი „ქართული ევროპიული მოძრაობა“, რომელშიც მიესალმება ამ სახელწოდების მოძრაობის შექმნას და განიხილავს საქართველოს ისტორიულ კავშირს ევროპულ ცივილიზაციასთან. „ევროპული ქართული მოძრაობა“ ოფიციალურად დაარსდა 1952 წლის აგვისტოში.

კალისტრატე სალია

ქართული ევროპიული მოძრაობა

„ბედი ქართლისა“ ეგებება სიხარულით ქართული ევროპიული მოძრაობის დაარსებას.

როდესაც ევროპის მთლიანობის იდეა ხორცს ისხამს და მისთვის მებრძოლი ორგანიზაციებით მოფენილია მთელი დასავლეთი, ჩვენი მოვალეობა იყო თავისუფლება ართმეულ საქართველოს მაგიერ მისი ევროპიული სიტყვა გვეთქვა. ეს იკისრეს ჩვენმა წარჩინებულმა მეცნიერებმა და მათი ინიციატივით და დახმარებით დაფუძნდა ქართული ევროპიული მოძრაობა.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ემიგრაციის პოლიტიკური აზროვნება ისე დაბნეული არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს, - არც ის გვახსოვს, რომ საგარეო პოლიტიკის ნიადაგზე რაიმე სერიოზული უთანხმოება მოგვსლოდეს ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, რაც გადმოხვეწილი ვართ. საქართველოს სუვერენულ უფლებათა დაცვის საკითხში ჩვენი ემიგრაცია მუდამ შეურყეველი

კოლოსივით იდგა და ამ მხრით მისი მთლიანობა არავის არ დაურღვევია. ხოლო დღეს, მსოფლიოს რთული პოლიტიკური მდგომარეობის გავლენით იგიც კრიზისს განიცდის, მისი ეროვნული ერთობა დაიშალა და ბევრი რამ უჩვეულო ხდება.

ამ დროს გვევლინება ახალი ქართული მოძრაობა თავისი გარკვეული სახით, რომელიც ნათლათ გვისახავს სწორ ეროვნულ გზას. მისი აზრით **ერთად-ერთი მისაღები ჩვენთვის არის ევროპის ორიენტაცია, ევროპის ფედერაციაში უშუალოდ შესვლა, ამისათვის მუშაობა და ნიადაგის მომზადება.**

„საქართველო მუდამ იყო დიდი ევროპიული ოჯახის წევრი, ამ ოჯახის შემძენი და ამ ოჯახით მოსარგებლე, ჩვენ გვწამს, რომ დამოუკიდებელი საქართველო თავის ადგილს დაიკავებს გაერთიანებულ ევროპაში; ეს ადგილი მას დამსახურებული აქვს. ჩვენ გვწამს, რომ თავისუფალი ქართველი ერი ძველებურად გაშლის თავის ბუნებას და ნიჭს თავმოყრილ და მთლიან ევროპაში“, ვკითხულობთ ამ მოძრაობის მიერ გამოცემულ წიგნაკში **„საქართველო - ევროპა“.**

„ევროპის ისტორიის დასაბამითგან საქართველო მონაწილეა კაცობრიობის იმ სულიერი განვითარებისა და კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფორმაციების შექმნისა, რომლებიც შეადგენენ ევროპის ცხოვრების არსს, ამბობს ეს ახალი მოძრაობა. საქართველო არის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წილის შემტანი ევროპის შემოქმედებაში, კოლხ-იბერთაგან გაწეული შრომა, მათი თანაღვაწლი ჰელენურ მსოფლიოს წარმოშობაში და შექმნაში, ქართველ ერს დღესაც ასაზრდოებს, დღესაც ჰმატებს მისი შინაგანი ცხოვრების წყაროს, ძალას და ღონეს, და ამავე დროს, ეს თანაღვაწლი არის წილი შეტანილი ევროპის კულტურის საძირკველის ჩაყრაში და მის გაშლაში. კოლხ-იბერთა წილი რომაელთა იმპერიის ევროპიულ დაფუძნებაში, მათი ღვაწლი იმპერიის ყველაზედ მნიშვნელოვანი საზღვრების დაცვაში და მით იმპერიის კეთილდღეობი-

სათვის, და მისი კულტურული შემოქმედების განმტკიცებისათვის, არის გაგრძელება იმ ფუნქციისა, რომელიც ისტორიულმა მსვლელობამ და ბედმა ქართველთა წინაპართ ჯერ კიდევ პირველ ათასეულ წელთა წინ ქრისტემდე მიაკუთნა“.

შემდეგ, მოძრაობის დებულებებში განხილულია ქართველების როლი ქრისტიანულ-ევროპიული ცხოვრების დაფუძნებაში და მისი კულტურის შექმნაში და დაცვაში, მოთხრობილია საქართველოს მონაწილეობა ჯვაროსანთა ომებში, განსაკუთრებით 1121 წელს დიდ-გორის ბრძოლა, სადაც დავით აღმაშენებელმა დაამარცხა წინა აზიის მთელი შეერთებული ძალები, რამაც დიდი ხნით გადასწყვიტა ჯვაროსანთა სასარგებლოდ მსვლელობა ომებისა, და ეს სწორედ მაშინ, როდესაც ჯვაროსნები დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდენ, დიდ-გორის ბრძოლასთან დაკავშირებით მოხსენებულია ცნობილი ლეგენდა მეფე-მოძღვარი იოანესი, რომ სამაჰმადიანო ქვეყნებს იქით არსებობს ქრიასტეანული სამეფო; მისი მოძღვარი - მეფე იოანე მოდის ჯვაროსნების დასახმარებლად და სხვა. შემდეგ საუკუნოებში, როდესაც ჯვაროსნები გაჭირვებაში ჩავარდებოდენ ხოლმე, აცოცხლებდენ ამ ლეგენდას და იმედს; მეფე მოძღვარი მოდის მოსაშველებლადო და არწმუნებდენ თავიანთ მეფეებს, რომ საჭიროა შველა და დახმარება მიაწოდონ ჯვაროსნებს.

წიგნაკი განიხილავს აგრეთვე მე-15-16 საუკ. ევროპაში მომხდარ დიდ გარდატეხას, როდესაც მსოფლიო კომუნიკაციის გზები, მანამდე კომტინენტით შორეულ აღმოსავლეთისა და ინდოეთისაკენ მიმავალი, შეწყდა, რათგანაც შავი ზღვა და აღმოსავლეთი ხმელთაშუა ზღვა ოსმალებმა დაიკავეს. საჭიროება ოკეანეთი მიმავალი ახალი გზების გახსნისა, გაიზარდა. ევროპელები დგანან ახალი გაჭირვების წინაშე. სიძნელეთა გადალახვა პორტუგალიელებმა და ესპანელებმა იკისრეს. ხელახლად იფეთქა მეფე-მოძღვარის იდეამ და სურვილმა ზღვის გზით მოძებნონ ეს საქრისტეანო სამეფო. მხოლოდ ამ იდეით გამოწვეული ენთუზიაზმით და გატაცებით

აღსავსე მეზღვაურებს შეეძლოთ იმ საშინელი დაბრკოლებების და სიძნელეების გადალახვა, რომელიც მათ უხვად ხვდებოდა გზაში. ეძებდენ ოკეანურ გზებს ინდოეთისკენ და ამ ძებნაში იყო ამერიკის კონტინენტები აღმოჩენილი. ამიერიდან დასავლეთი ევროპის ყურადღება და ენერგია ამ ახლად აღმოჩენილ ქვეყნებისაკენ არის მიმართული, რამაც გამოიწვია ძირითადი ცვლილებანი, ძველი მსოფლიო გზებზე მდებარე ქვეყნები და მათ რიცხვში საქართველოც, დარჩენ მსოფლიო კომუნიკაციის სისტემის გარეშე, მაშასადამე, გარეშე მსოფლიო მაჯის ცემისა, ცენტრალური და დანარჩენი აღმოსავლეთი ევროპის ერებიც ოკეანური მსოფლიო სისტემის გარეშე დარჩენ. ბუნებრივად გაიზარდა მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის ერებისა, პორტუგალია, ისპანია, ჰოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი სცდილობენ ახალი შესაძლებლობანი საქმედ აქციონ და მათი მთავარი ძალა, ღონე და ყურადღება ოკეანესკენ არის მიქცეული.

საქართველო კი ძველ გზას ადგია. მას სხვა გამოსავალი არა აქვს. მისი მეფეები სცდილობენ შექმნან სისტემა ევროპიულ სახელმწიფოთა კავშირისა, რომელშიც საქართველოც ნაგულისხმებია მისი ძველი ფუნქციებით. გეგმა შეიქმნას ევროპის ევროპის ქრისტეან მეფეთა კავშირის სისტემა საქართველოს მონაწილეობით და იმედი ასეთი შესაძლებლობისა ამოძრავებს ქართველ მეფეებს სამი საუკუნის განმავლობაში, ყვარყვარე ათაბაგი ჰქმნის კავკასიის ერთა კოალიციას სპარსეთის მფლობელ უზუნ ჰასანთან ერთად და აგზავნის ელჩებს ევროპის მეფეებთან გეგმით, რომ შეერთებული ძალებით განდევნონ ოსმალები ევროპიდან და მოსპონ მათი ძალა (მე-14 ს.); ლუარსაბ პირველი მიწერ-მოწერაშია რომის რომის პაპა პავლე მეორესთან (1534-1549); თეიმურაზ პირველის (1605-1648) მიერ გაგზავნილი წარმომადგენელი ნიკოლოზ ერბახი აწარმოებს მოლაპარაკებას 1625 წ. პაპა ურბან მერვესთან, გერმანიის იმპერატორთან, ესპანეთის მეფესთან, ფლორენციის მართველებთან, პოლონეთის მეფესთან; ვახტანგ მეექვსე (1702-1724) გზავნის საფრანგეთის მეფე

ლუდოვიკ მეთოთხმეტესთან სულხან-საბა ორბელიანს, რომელიც ჰპირდება თავის მეფის სახელით საფრანგეთის მეფეს - უზრუნველ-ჰყოს და დაიცვას ფრანგი ვაჭრებისათვის ინდოეთში და მონღო-ლეთ-ჩინეთში მიმავალი გზები. უკანასკნელი ცდები, განახორცი-ელოს გეგმა ევროპის მეფეებთამ კავშირისა, ეკუთვნის ერეკლე მეორეს (1744-1798).

ამნაირად ბევრი ეცადა ქართველი ერი მე-16 საუკუნეში მომ-ხდარი გარდატეხის შემდეგ შესულიყო მომხდარი გარდატეხის შემ-დეგ შესულიყო ისევ ევროპის საერთო დენაში, მაგრამ სჩანს, რომ მხოლოდ დღეს უღიმის ბედი სამი საუკუნის განმავლობაში უშე-დეგო ღვაწლს ქართველი მეფეებისა. რაც მაშინ შეუძლებლად ით-ვლებოდა, დღეს ევროპისათვის აუცილებლობას წარმოადგენს: შექ-მნა ევროპის სახელმწიფოთა კავშირის სისტემისა.

მართალია, საქართველომ ვერ შესძლო თავისი ევროპიული მიზნების განხორციელება, **მაგრამ განგრძობა მისი ევროპიული ცხოვრებისა არ შეწყვეტილა. მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, მან დროთა განმავლობაში ბევრი დაჰკარგა: მთლიანობა, ძალ-ღონე, ტერიტორია, სიმდიდრე, მაგრამ მთლიანად ის არასოდეს არ ყოფილა დაპყრობილი, და ამიტომ არც შეწყვეტილა და არც შეცვლილა მისი ცხოვრების ბუნებრივი მსვლელობა, მისი სულიერი კავშირი ევროპასთან არასოდეს არ დარღვეულა.**

ქართული ევროპიული მოძრაობა უყურადღებოდ არ სტო-ვებს, რასაკვირველია, საქართველოს დამოკიდებულების საკითხს რუსეთთან და ოსმალეთთან. მისი შეხედულებით, ევროპის მთლი-ანობის განხორციელება საქართველოს საშუალებას მისცემს მოაგვა-როს მათთან ისტორიული დავა. ესენი, როგორც წევრები ერთუი და იმავე ევროპის დიდი ორგანიზაციისა, ვალდებულნი იქნებიან და-იცვან საერთოდ გამომუშავებული წესრიგი, რომელიც გახდება საზომი ერთა შორის დამოკიდებულებისა. შიში დიდი ერის წინაშე ჰკარგავს თავის ძალას, რათგანაც უდიდესი ერიც კი სუსტია

მთლიან ევროპასთან შედარებით. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება მოიპოვოს ქართველმა ერმა უზრუნველყოფა მისი ფიზიკური არსებობისა, კულტურული განვითარებისა და ეკონომიური კეთილდღეობისა.

განმარტავს რა ეს ახალი ქართული მოძრაობა თუ რა შესაძლებლობებს უქმნის სრული ინტეგრაცია ევროპისა თითოეულ მის ერს, დაასკვნის: „ჩვენი მიზანი იგივეა, რაც ყოველი ევროპიელი ერისა: ვიყოთ უფალი ჩვენი თავისა, მოვაწესრიგოთ და გავშალოთ ჩვენი ცხოვრება ისე, როგორც ეც ჩვენს ბუნებას შეეფერება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ თავისუფალი ვართ, თუ საქართველო დამოუკიდებელია. ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღებად მას სჭირდება ევროპა, როგორც მცველი მისი თავისუფლებისა, როგორც მომცემი ახალი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური შესაძლებლობათა. საქართველო არ მოისურვებს იყოს მხოლოდ მოსარგებლე. ის თავის მოვალეობად სთვლის, ისე როგორც წარსულ საუკუნოებში, იყოს აგრეთვე შემძენი ევროპისა, დამცველი მისი მთლიანობისა და მისთვის მებრძოლი.

ევროპა მრავალ-ფეროვანი ერთეულია. ყველა ევროპიულ ერში ცოცხლობს ევროპიულობა და ევროპიულობაში კი ყოველი მისი ერი.

წყარო ევროპიული შემოქმედებისა არის ევროპის მრავალფეროვნება. მხოლოდ ევროპის მთლიანობას შეუძლია განამტკიცოს და დაიცვას ყოველი ერის თავისებურება. ევროპის შიგ უნდა სუფევდეს ერთმანეთთან შეფარდებული და თავისუფალი გაშლა და განვითარება მისი ერებისა, ევროპის გარეთ კი, მსოფლიოში - ევროპის მთლიანი წონა.

ევროპა უფრო დიდია, ვიდრე მისი რომელიმე სახელმწიფო. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ერი, რომლის კეთილდღეობა და აწმყოსა და მომავლის

უზრუნველყოფა მოითხოვს სწორედ ევროპის შექმნას. პირველი მნიშვნელობა თვით ერია, ევროპა კი მისი მფარველი. პირველს უმეოროდ სიცოცხლის უნარი ერთმევა. არც ერთ ერს არ შეუძლია სიცოცხლე, თუ მას ნიადაგი გამოეცალა და ამ ნიადაგს შეადგენს ის უფრო „დიდი“ ევროპა. ასეთი უნდა იყოს დამოკიდებულება ერსა და ევროპას შორის.

ბრძოლა ევროპისათვის ნიშნავს დაცვას და გაშლას ჩვენი კულტურისა და ცივილიზაციისა.

თითოეული ჩვენთვის ევროპა არის: თავისუფლება და წესრიგი, უფლება და მისი უზრუნველყოფა, მუშაობა და სოციალური სამართლიანობა. მის გამარჯვებას ვუკავშირებთ კვლავ აღდგენას და გამარჯვებას ქრისტიანობის მიერ დაფუძნებულ ცხოვრების წესებისა, რომელმაც განამტკიცა ცხოვრება ჩვენი მრავალ საუკუნოების წინ და თანდართული აქვს იმ მაღალ კულტურას, რომელიც ქართველმა ერმა შექმნა საშუალო საუკუნოებში და რომელიც დღესაც სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენს სულსა და გულს.

ჩვენი მიზანი არის, გავხდეთ წევრი ამგვარად გაგებული თავისუფალი ევროპისა. ვიყოთ მისთვის შემძენი და გვქონდეს სარგებლობა მისი მფარველობისა“.

ვინც გულდასმით გაეცნობა ამ მოძრაობის მიზანს, დაგვეთანხმება, რომ საქმე გვაქვს უეჭველად ჩვენი ემიგრაციის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენასთან, რომელსაც შეუძლია დადებითი როლი აღასრულოს ჩვენი საგარეო პოლიტიკის სწორად მიმართვისა და მის ნამდვილ ეროვნულ ხაზზე დაყენების საქმეში, რა დასამალია, რომ ამ მხრით დაყენების საქმეში. რა დასამალია, რომ ამ მხრით მდგომარეობა მთლად წესრიგში არ არის.

როგორც ამ მოძრაობის ინიციატორთა მოწოდებაშია აღნიშნული, ეს ახალი ორგანიზაცია დგას პოლიტიკურ პარტიათა და ჯგუფთა გარეშე. მსგავსად არსებულ ევროპის ფედერაციის მოძრა-

ობათა, სადაც შედიან ყველანი, განურჩევლად სარწმუნოებისა და პოლიტიკური მრწამსისა,

ჩვენზედ არის დამოკიდებული, თუ რა გაშლას და განვითარებას მივცემთ ქაართული ევროპიული მთლიანობის კონცეფციას.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოძრაობის მფარველნი, ჩვენი სახელოვანი პროფესორები, რომლებიც უკვე ცნობილი და დამსახურებულნი არიან ევროპიული იდეების დამუშავების დარგში, ყურადღებას და ზრუნვას არ მოაკლებენ ამ ახალ ქართულ დაწყებას.

ვიმედოვნებთ, თანაგრძნობით შეხვდება მას ქართველი საზოგადოებაც.

„ბედი ქართლისა“, 1952, N 13, გვ.1-4